



ახალი განათლება

№3 (437) გამოდის 1998 წლიდან



ცნობარი ანტონ მარტყოფლისა

ხატად ლეთისა შექმნილმან,
 წმინდაო არა უღებ ჰყავ ბაქციო ხატისა
 ქრისტესი, თუნიერ ხელთა კაცთასა
 ტამოსახლისა, რაქეთუ იხლე რა ხელთა
 შინა ურწმუნთასა, განხურეკბულმან
 შურითა სდმრითთა, იტვირთუ
 მხართა ზედა ძტვირთუკლი ყოველთა,
 და ძოუძღვანე ქართუკლთა ერსა,
 ძილუაქეთა შექნიერებთ ანტონი,
 კვარე ქრისტესა ღმერთსა,
 შეწყალებად სულთა ზეცნათეთის.

რას უიქროგენ ვეთორეპეპლასელები

სახელმწიფოებრივების, ეროვნული
გამოცდების, რეპეტიტორების და
თორეპეტიტორების სწავლების შესახებ

გვერდი 4-5

საქართველოს ისტორიის სახელმწიფო სტრატეგიისათვის

გვერდი 6-7

მოკლევადიანი სასწავლო პროგრამის დაგეგმვა პათემატიკაში

გვერდი 10

განათლების და მეცნიერების სამინისტროს განცხადება

20 იანვარს, გაზეთ „რეზონანსში“ გამოქვეყნებულ პუბლიკაციაში „აზერბაიჯანული ორგანიზაცია ხელისუფლებას დისკრიმინაციაში ადანაშაულებს“, გავრცელებული ინფორმაცია სინამდვილესთან შეუსაბამოა. სტატიაში გავრცელებული განცხადების თანახმად, „საქართველოს აზერბაიჯანელთა ნაციონალური ასამბლეის განცხადებით, საქართველოში კომპაქტურად დასახლებული აზერბაიჯანელების მიმართ ნაციონალური დისკრიმინაციის ფაქტები გახშირდა. ასამბლეის განცხადების თანახმად, საქართველოს ხელისუფლებამ თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონში აზერბაიჯანული სკოლების ეტაპობრივი ლიკვიდაცია დაიწყო“. განცხადებაში ასევე ნათქვამია: „აზერბაიჯანული მხარე ასეთ ქმედებებს აფასებს, როგორც აზერბაიჯანელთა ნაციონალური კუთხით დისკრიმინაციის ფაქტებს. აზერბაიჯანული სკოლების ლიკვიდაციის მიზანი საქართველოდან აზერბაიჯანელების კულტურული დეპორტაციაა“.

სტატიაში ქვემო ქართლში მოღვაწე ორგანიზაცია „გეირათის“ თავმჯდომარე ალი ბაბაევი აღნიშნავს: „აზერბაიჯანელებს მშობლიურ ენაზე განათლების მიღების შესწავლის (!) საშუალებას საქართველოში მოქმედი განათლების კანონი პირდაპირ თუ ირიბად მაინც უშლის“, რაც კანონის არასწორი ინტერპრეტაციაა. სინამდვილეში, განათლების შესახებ კანონში ვკითხულობთ:

„საქართველოს მოქალაქეებს, რომლებსთვისაც ქართული ენა მშობლიური არ არის, უფლება აქვთ მიიღონ სრული ზოგადი განათლება მათ მშობლიურ ენაზე, ეროვნული

სასწავლო გეგმის შესაბამისად, კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სავალდებულოა სახელმწიფო ენის სწავლება“ (მე-4 მუხლის მე-3 პუნქტი);

„სახელმწიფო უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის მიერ მის საცხოვრებელ ადგილთან მახლობლად ახლოს ზოგადი განათლების სახელმწიფო ან მშობლიურ ენაზე მიღების უფლებას“ (მე-7 მუხლის, პირველი პუნქტი);

„თუ ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული უფლების განხორციელება შეუძლებელია სტანდარტული ვაუჩერის მეშვეობით, სახელმწიფო ასეთ მოსწავლეებს უზრუნველყოფს გაზრდილი ვაუჩერით ან/და დამატებითი დაფინანსებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული შესაბამისი მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში“ (მე-7 მუხლის მე-2 პუნქტი);

„სკოლა, თანასწორობის საფუძველზე, იცავს უმცირესობების წევრების ინდივიდუალურ და კოლექტიურ უფლებას, თავისუფლად ისარგებლონ მშობლიური ენით, შეინარჩუნონ და გამოხატონ თავიანთი კულტურული კუთვნილება“ (მე-13 მუხლის მე-7 პუნქტი).

სახალხო დამცველის აპარატთან არსებულმა ეროვნული უმცირესობების საბჭომ, წარმოდგენილი რეკომენდაციების და შეფასებების საფუძველზე, შეიმუშავა შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციის ფარგლებში სამოქმედო გეგმა.

წარმოდგენილი რეკომენდაციების და შეფასებების განხილვაში მონაწილეობდა ყველა დაინტერესებული მხარე, მათ შორის სტატიაში მოხსენიებული ორგანიზაციები. განხილვები აქტიურად მიმდინარეობდა რეგიონებშიც და ამ პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართული განათლებისა და მეცნიერების მინისტრი, მინისტრის მოადგილე, სტრუქტურული ერთეულების და სსიპ-ების ხელმძღვანელები.

სამოქმედო გეგმის საფუძველზე, განისაზღვრა ამოცანები, მათ შორის: სახელმწიფოს მიერ ეროვნული უმცირესობების ენებზე განათლების მიღების ხელშეწყობის მიმართულებით, მულტილინგვური სწავლების დანერგვის მიმართულებით (ეუთოს უმაღლეს კომისართან ერთად შემუშავდა სწავლების კონცეფცია, დაიწყო სწავლების მოდელების დანერგვა და სხვ.). მიმდინარეობს აქტიური თანამშრომლობა სომხეთის და აზერბაიჯანის განათლების სამინისტროებთან. კონსულტაციების საფუძველზე, უკვე შემუშავდა აზერბაიჯანული და სომხური ენის, როგორც მშობლიური ენის, სწავლების სტანდარტი.

ასევე, განისაზღვრა ამოცანები უმაღლესი განათლების ხელშეწყობის მიმართულებით (მათ შორის, გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა რუსულ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე თარგმანა აბიტურიენტთა მოსამზადებელი ტესტები ზოგად უნარებში და მათ აქვე შესაძლებლობა, მისაღები გამოცდა ზოგად უნარებში მშობლიურ ენაზე ჩააბარონ), „სოციალური გრანტების პროგრამის“ ფარგლებში დაფინანსდნენ არაქართულენოვანი

სტუდენტები სამცხე-ჯავახეთიდან, ქვემო ქართლიდან და სხვ.

ასევე, სამინისტრომ ეთნიკური აზერბაიჯანელებისთვის მშობლიურ ენაზე განათლების ხელმისაწვდომობის, სწავლისა და სწავლების უზრუნველყოფის მიზნით განახორციელა სხვადასხვა ღონისძიება, მაგალითად: ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის მიერ აზერბაიჯანული სკოლებისთვის მშობლიურ ენაზე ითარგმნა სკოლის 39 სახელმძღვანელო სხვადასხვა საგანში;

მასწავლებლების პროფესიული განვითარების ცენტრმა აზერბაიჯანულ ენაზე თარგმნა მასწავლებლის დამხმარე სახელმძღვანელოები, აზერბაიჯანულ ენაზე გამოდის ჟურნალი „მასწავლებელი“;

2009 წელს იგეგმება სკოლის დირექტორების არაქართულენოვანი კანდიდატების ტესტირებისთვის მომზადება.

პროგრამა „იაკობ გოგებაშვილის“ ფარგლებში მიმდინარეობს აზერბაიჯანულენოვანი და სომხურენოვანი სკოლების რეაბილიტაცია და პროგრამა „ირმის ნახტომის“ ფარგლებში – კომპიუტერიზაცია. ეს სკოლები ჩართულნი არიან მიმდინარე სასკოლო პროგრამებში და სხვ.

საქართველოში 124 აზერბაიჯანულენოვანი სკოლა და სექტორია. განათლების სამინისტრო არ გეგმავს არც ერთი აზერბაიჯანულენოვანი სკოლის ლიკვიდაციას. ყოველივე აქედან გამომდინარე, სამინისტრო სტატიაში მოყვანილ მოსაზრებებს აფასებს, როგორც დეზინფორმაციის გავრცელების მცდელობას.



ბანათლების მინისტრი რეგიონის კედაგობებს შეხვდა



განმტკიცება. მე მხოლოდ ასეთ დირექტორებს დაუჭერ მხარს.

თინა ბანცური, დუშეთის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი: - საკითხი, რომელიც მე მინდა დავსვა თქვენ წინაშე, ეხება მოსწავლეთა თავისუფალი დროის ორგანიზაციას. სკოლის შემდეგ ბავშვები, პრაქტიკულად, ლეთის ანაბარა რჩებიან. ეს განსაკუთრებით ეხება ზაფხულის არდადეგებს, როცა ბავშვებს არსად აქვთ წასასვლელი და მთელ დროს ქუჩაში ყოიან ანდომებენ. არის უამრავი ნიჭიერი მოსწავლე, რომელთაც არ აქვთ თვითრეალიზაციის საშუალება და ისინიც ბედის ანაბარა არიან მიტოვებულნი. სკოლებში არსებული თვითმმართველობებიც ფორმალური ხასიათისაა და არაფერს არ იძლევა. ფაქტია, რომ ჩვენს ბავშვებს ინიციატივიანობა აკლიათ. ხშირ შემთხვევაში მათ ინიციატივებს ფრთებს კვეცს უსახსრობა და ა.შ. წლების წინ არსებობდა საზაფხულო ბანაკების პრაქტიკა, სადაც ბავშვები ისვენებდნენ კიდევ და ცოდნასაც იმალებდნენ.

თუ შესაძლებელია, რომ ძველი პანსიონატების ბაზაზე გაკეთდეს მსგავსი ტიპის საგნობრივი ბანაკები სოციალურად დაუცველი ბავშვებისთვის მაინც; ალბათ ამას სათანადო სახსრები დასჭირდება, მაგრამ, ვფიქრობთ, ასეთი საქმისათვის სახსრების გაღება ღირს, რადგან საქმე მოზარდ თაობას ეხება, რომელსაც სულ უფრო და უფრო ითრევს ქუჩა თავის ბინძურ ჭაობში. იქიდან მათი ამოყვანა კი ვაცლილებით ძვირი დაჯდება, ვიდრე სპორტული ბაზებითა და კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრებით აღჭურვილი რამდენიმე საზაფხულო ბანაკის რეაბილიტაცია.

ნიკა გვარამია: - ძალიან სწორადაა საკითხი დასმული, თუმცა ძნელად მოსაგვარებელია. საგნობრივი ბანაკების იდეა მართლაც კარგია და კულტურის სამინისტროსთან ერთად ვიფიქრებთ ამ საკითხზე. შესაძლებელია ამ საქმეში გუბერნატორების ჩართვა - ყველა რეგიონში თითო ასეთი საგნობრივი ბანაკი რომ გაკეთდეს, ძალიან კარგი იქნება.

სამეურვეო საბჭოს მოსალოდნელ არჩევნებთან დაკავშირებით მინისტრმა განმარტა, რომ არჩევნები მის-იენისშია დაგეგმილი და იქნება გარკვეული ცვლილებებიც, კერძოდ: ყველა სამეურვეო საბჭოს შემადგენლობაში შეიყვანენ რესურსცენტრის თითო წარმომადგენელს, სამინისტროს მიერ სკოლებში სასწავლო პროცესების მონიტორინგის გაძლიერებისა და სრული ინფორმაციის მიღების მიზნით.

საუბარი შეეხო ასევე მასწავლებელთა რეპეტიტორების პრაქტიკას (როდის უნდა დააღწიოს სკოლაში დაწერილი ნიშანბა და ატესტატმა რალაც ძალა და დატვირთვა შეიძინოს).

- ამის თაობაზე მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ატესტატის ფასი უნდა შესძინონ მასწავლებლებმა და, პირველ რიგში, სკოლამ, - განაცხადა მინისტრმა, - ჩემთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, თუ როგორ დაეამთავრებდი სკოლას - ეს ჩემთვის ღირსების საკითხი იყო. ნიშანს მიძიმედ, მაგრამ ობიექტურად მიწერდნენ. სკოლამ და მასწავლებელმა ზედამხედველობა უნდა დაანესონ თითოეულ ნიშანზე და მას არ უნდა არიგებდნენ უბრალოდ - ასე შეიძენს წონას ატესტატი, სხვაგვარად მას აზრი ეკარება. კრიტიკიუმები უკვე ჩაიდო ოქროსა და ვერცხლის შედეგ-

ბის შემოღებით. მე მინდა ვთხოვო თითოეულ თქვენგანს - ძალიან დიდი სიფრთხილითა და პასუხისმგებლობით მოეკიდეთ მედელებს. ნუ გადააქცევთ მათ მასობრივი მოხმარების საგნად და ნუ გააიაფებთ.

თიანეთისა და ბინმენდის სკოლების პედაგოგებმა რემონტსა და სპორტული ბაზების შესაძლო მშენებლობაზე გაამახვილეს ყურადღება.

- ჩვენი ამოცანაა, ნელს რაც შეიძლება ბევრი სკოლა გავარემონტოთ, - აღნიშნა გვარამიამ, - მაგრამ სრული რემონტი ვერ იქნება. გადავწყვიტეთ, ნაწილობრივი რემონტით შემოვიფარგლოთ და ამ გზით მოვიცვათ სკოლების უფრო მეტი რაოდენობა (გადახურვა, ძველი კარ-ფანჯრების შეცვლა მეტალოპლასტმასით, სველი წერტილების მოწესრიგება). როცა შესაძლებლობა მოგვეცემა, გავრძელებთ სამუშაოებს სრულ რემონტამდე. სამინისტრო განსაზღვრავს სკოლებს და ადგილობრივ მუნიციპალიტეტებთან და სამხარეო ადმინისტრაციასთან შეთანხმებით იმუშავებს.

რაც შეეხება ახალი სპორტული ბაზების მშენებლობას, ვიცით, რომ ეს საკმაოდ დიდი პრობლემაა, მაგრამ ამ ეტაპზე ვერავის შევპირდებით მათ მშენებლობას, თუმცა შევძლებთ უკვე არსებული სპორტული ბაზების განახლებას.

პედაგოგებმა წამოჭრეს ინტეგრირებული საგნების სწავლების საკითხიც. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა ისტორია-გეოგრაფიის ინტეგრირებულ სწავლებაზე. მინისტრმა განმარტა, რომ ასეთ სწავლებას უთუოდ აქვს დადებითი მხარეები, თუმცა პედაგოგთა მხრიდან მკვეთრად გამოხატული უარყოფითი აზრის გამო, სერიოზულად დასაფიქრებელია, რამდენად ღირს ინტეგრირებული სწავლების გაგრძელება...

საუბარი შეეხო აგრეთვე სკოლებისათვის ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორცაა დირექტორების არჩევნები და პედაგოგთა სერტიფიკაცია.

- დირექტორთა არჩევნები ზაფხულისთვისაა დაგეგმილი. რაც მთავარია, დირექტორებს მოეხსნათ უნარ-ჩვევების ტესტირება და გასაუბრება. ისინი მხოლოდ ფუნქციურ წერასა და სამართალს ჩააბარებენ. ერთი სიტყვით, ნელს ეს არჩევნები ვაცილებით მარტივად და დემოკრატიულად ჩატარდება. კანდიდატებს საშუალება ექნებათ, შეუზღუდავი რაოდენობის სკოლაში წარადგინონ თავიანთი კანდიდატურა. იმ სკოლებში, სადაც 3-ზე მეტი კანდიდატი მოიყრის თავს, არჩევნები ორ ტურად ჩატარდება. სამეთვალყურეო საბჭო ჩატარებს გასაუბრებას, რის შესახებაც ისინი შესაბამის რეკომენდაციებს მიიღებენ სამინისტროდან, - განაცხადა ნიკა გვარამიამ. რაც შეეხება პედაგოგთა სერტიფიკაციას, ეს პროცესი 2010 წლიდან დაიწყება და ექნება პერმანენტული ხასიათის. მასწავლებელი ერთ ადგილას არ უნდა გაჩერდეს, მას მუდმივად სჭირდება ცოდნის შევსება, გადამზადება - ხომ არ შეიძლება ცოდნის მიღება რალაც ეტაპზე დასრულდეს - ჩვენ მთელი სიცოცხლის მანძილზე ვსწავლობთ!

შეხვედრა დაგეგმილზე დიდხანს გაგრძელდა, თუმცა ყველა კითხვაზე პასუხის გაცემა მაინც შეუძლებელი აღმოჩნდა. მინისტრი დაპირდა პედაგოგებს, რომ ყველა კითხვაზე მიიღებენ წერილობით პასუხს. ბოლოს ნიკა გვარამიამ პრეზიდენტის სტიპენდიანტ მასწავლებლებს სტიპენდიანტის დამადასტურებელი სპეციალური სერტიფიკატი გადასცა.

ნათო იორდანიშვილი

ორთვიანი ინტერვალის შემდეგ, მცხეთის №2 საჯარო სკოლას კვლავ განათლების მინისტრი ესტუმრა, ოღონდ ამჯერად ამ სტატუსით უკვე ნიკა გვარამია წარდგა სკოლის ფოიეში შეკრებილი რეგიონის საჯარო სკოლების დირექტორებისა და პედაგოგების წინაშე. მინისტრი ახალია, თუმცა ზოგადასაგანმანათლებლო სისტემაში არსებული პრობლემები ძველი - სკოლების მძიმე მატერიალურ-ტექნიკური მდგომარეობა, მოუწესრიგებელი გათბობა, პედაგოგთა კვალიფიკაცია, მოსწავლეთა დაბალი დისციპლინა, სასკოლო ტრანსპორტის უქონლობა, დაბალი ხელფასები და ა.შ.

ახალ მინისტრს დამსწრე საზოგადოება სკოლის დირექტორმა, ნანა ბოხუამ წარუდგინა. მან მადლობა გადაუხადა სამინისტროს, მხარისა და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას დახმარებისათვის იმ მძიმე პერიოდში, როცა ავგისტოს ომის დროს დაზარალებული ასობით ადამიანი ითხოვდა დახმარებას. ამის მიუხედავად, მათი ძალისხმევით, დანგრევის პირას მისული სკოლა ახლა ერთ-ერთი სანამუშო და საუკეთესო სკოლაა, რომელსაც 32 მაღალკვალიფიციური პედაგოგი ემსახურება.

ბატონმა ნიკა გვარამიამ სიტყვით გამოსვლისას ბრძანა, რომ მინისტრობის პერიოდში განათლების სამინისტროს პრიორიტეტი სკოლა იქნება. ის პრობლემები, რომლებიც დღეს ზოგადასაგანმანათლებლო სისტემის წინაშეა წამოჭრილი, აუცილებლად ერთობლივ ძალისხმევითა და მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობით უნდა გადაიჭრას. ასეთი შეხვედრებიც პედაგოგიურ საზოგადოებასთან სწორედ ამ მიზანს ემსახურება.

შემდეგ შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა.

- თქვენც მალევე ხომ არ მიგვა-





ეროვნული ეროვნული გამოცდების გამსწორებელთა კონკურსი

გამოცდების ეროვნული ცენტრი აცხადებს საბნობრივი კომისიების გამსწორებელთა კონკურსს და მოგვართვით თხოვნით, ჩაერთოთ გამსწორებელთა საბნობრივი კომისიების მუშაოებაში

დღეს ყველას, ვისაც კი ინტერნეტზე მიუწვდება ხელი, შეუძლია გაეცნოს ნაშრომთა შეფასების კომპიუტერულ პროგრამას და საკუთარი რაიონიდან გაუსვლელად მიიღოს მონაწილეობა კომისიის წევრთა შესარჩევ კონკურსში, შემდეგ კი - აბიტურიენტთა ნაშრომების გასწორებაში.

აბიტურიენტთა ნაშრომების გასწორების კომპიუტერული პროგრამა არ მოითხოვს განსაკუთრებულ წინასწარ მომზადებას ან კომპიუტერული პროგრამების ღრმა ცოდნას. გამსწორებელთა შერჩევაში მონაწილეობის მიღება ყველას შეუძლია, ვისაც აქვს ამა თუ იმ საგამოცდო საგანში უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომი.

გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა გამოსცა დამხმარე სახელმძღვანელო „საგამოცდო ნაშრომების კომპიუტერული გასწორება“, რომელიც დაგეხმარებათ:

აითვისოთ საგამოცდო ნაშრომების გასწორების კომპიუტერული პროგრამა;

მონაწილეობა მიიღოთ საგამოცდო კომისიის წევრთა შესარჩევ კონკურსში.

ინტერნეტთან მიერთებული ნებისმიერი კომპიუტერიდან უნდა შეხვიდეთ გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე www.naec.ge სადაც განთავსდება ინფორმაცია კონკურსის ეტაპებისა და პროცედურების შესახებ.

გამსწორებელთა შესარჩევი კონკურსი 3 ეტაპისგან შედგება:

პირველი ეტაპი:

პირველი ეტაპი იწყება 5 თებერვალს და მისი ძირითადი მიზანია, გააცნოს მომავალ გამსწორებელს კომპიუტერული გასწორების ტექნიკური მხარე (პირველი ეტაპის გავლა არ არის საავსებელი კონკურსში მონაწილეობისათვის).

ამ ეტაპზე შესაძლებლობა გექნებათ გაეცნოთ აბიტურიენტების ნაშრომებს, გაასწოროთ, შეაფასოთ ისინი და თქვენ მიერ დანერგილი ქულები შეუდაროთ საგნის ექსპერტთა შეფასებებს.

მეორე ეტაპი:

გამსწორებელთა შერჩევის მეორე ეტაპზე მოგიწევთ ნაშრომთა გარკვეული რაოდენობის გასწორება და შეფასება. საუკეთესო გამსწორებლები, ანუ ის გამსწორებლები, რომელთა შეფასებები ყველაზე მეტად მიუახლოვდება საგნის ექსპერტთა შეფასებებს, მონაწილეობას მიიღებენ დასკვნით კონკურსში.

მესამე ეტაპი:

ამ ეტაპზე ყველა მონაწილეს მოუწევს დროის წინასწარ განსაზღვრულ მონაკვეთში ნაშრომთა გარკვეული რაოდენობის შეფასება. საუკეთესო სპეციალისტები მონაწილეობას მიიღებენ 2009 წლის საგამოცდო ტესტების გასწორებაში.

ნობის შეფასება. საუკეთესო სპეციალისტები მონაწილეობას მიიღებენ 2009 წლის საგამოცდო ტესტების გასწორებაში.

დამხმარე სახელმძღვანელოს გამონერა შესაძლებელია: რეგიონებში: „სახალხო ფოსტის“ ნებისმიერ რაიონულ ოფისში;

თბილისში: „სახალხო ფოსტის“ ოფისებში, მისამართი: ჭავჭავაძის 74, ვაგ ზღის მოედანი 2, წერეთლის 126.

გასწორების პროცესთან დაკავშირებული სიახლეებისა და მნიშვნელოვანი ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდს: www.naec.ge

შეკითხვები და შენიშვნები მოგვანოდეთ შემდეგ მისამართზე: ივანე ჯავახიშვილის ქუჩა №60, „გამოცდების ეროვნული ცენტრი“ ან დაგვიკავშირდით: ტელ. 43.92.12;

გასწორებასთან დაკავშირებული საგნობრივი ხასიათის შეკითხვებისათვის დაგვიკავშირდით შემდეგ მისამართზე: eMarker@naec.ge



ეროვნული ეროვნული გამოცდების ცენტრი

გამოცდების ეროვნული ცენტრი იწყებს აბიტურიენტთა რეგისტრაციას

2009 წლის ეროვნული ეროვნული გამოცდებისათვის

გამოცდების ეროვნული ცენტრი 2009 წლის ეროვნული ეროვნული გამოცდებისათვის აბიტურიენტთა რეგისტრაციას 5 თებერვლიდან იწყებს. აბიტურიენტები სკოლებში და რესურსცენტრებში მიიღებენ ცნობას, რომელშიც გამოქვეყნებულია სარეგისტრაციო ანკეტის შესავსებად საჭირო ყველა ინფორმაცია.

დამამთავრებელი კლასის მოსწავლეები რეგისტრაციას გაივლიან საკუთარ სკოლებში. სკოლადამთავრებულების რეგისტრაცია ინარჩუნებს:

რაიონებში - საგანმანათლებლო რესურსცენტრებში;

თბილისში - შემდეგ მისამართებზე:

ვაკე-საბურთალო - 165-ე საჯარო სკოლა, ფალიაშვილის ქ. N57

მთაწმინდა-კრწანისი - 193-ე საჯარო სკოლა, ლალიძის ქ. N7

ისანი-სამგორი - 89-ე საჯარო სკოლა, ქეთევან წამებულის ქ. N40

დიდუბე-ჩუღურეთი - 150-ე საჯარო სკოლა, დგებუაძის ქ. N8

გლდანი-ნაძალადევი - მე-9 საჯარო სკოლა, სააკაძის N29

რეგისტრაციის პროცესი დასრულდება 20 მარტს.

2009 წლის მთავარი სიახლეები:

2009 წლის ეროვნული ეროვნული გამოცდებისათვის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი განისაზღვრა 25 ქულით, უცხოური ენებისათვის 20 ქულით (და არა 14 ქულით, როგორც ეს 2009 წლამდე იყო დადგენილი), შესაბამისად, აბიტურიენტმა უნდა მიიღოს 26 ქულა (უცხოური ენების გამოცდაში - 21 ქულა), რომ გადალახოს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.

უმალეს სასწავლებლებს შეუძლიათ, თავად განსაზღვრონ კონკრეტული ფაკულტეტებისათვის ჩასაბარებელი უცხოური ენა. რამდენიმე ენის მითითების შემთხვევაში აბიტურიენტი ირჩევს ერთ-ერთს.

2009 წლის ეროვნულ გამოცდებზე უმაღლესი სასწავლებლების ცალკეული ფაკულტეტები მოითხოვენ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ტესტის განსხვავებული საგნობრივი ნაწილების ჩაბარებას.

დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ:

ცხელი ხაზი: 43 92 12

ელფოსტა: pr@naec.ge

ვებგვერდი: www.naec.ge



მოსწავლეებს, მასწავლებლებსა და აბიტურიენტებს ვთავაზობთ

„ქართული კრიტიკის სასკოლო ქრესტომათიის“ I და II ნაწილს

კრებულები მოიცავს ცნობილ მეცნიერთა გამოკვლევებსა და სტატიებს XIX-XX საუკუნეების ქართული ლიტერატურის რჩეულ ნიმუშებზე. X-XI-XII კლასების სახელმძღვანელოებში შესული სასკოლო პროგრამით გათვალისწინებული ნაწარმოებები - „ბედი ქართლისა“, „განდევილი“, „გველის მჭამელი“, „ჯაყოს ხიზნები“, „ჩაკლული სული“, „დათა თუთაშხია“, „ალავერდობა“ და სხვები, ყოველმხრივ, მრავალნაზნაგოვნად არის განხილული. ქრესტომათიის შემდგენელია თამაზ ვასაძე. წიგნი მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს ქართული ლიტერატურის სპეციალისტებსა და მოყვარულებს.


შეკვეთები I და II ნაწილზე შეგიძლიათ გააკეთოთ

მარკეტინგული და მედია კომუნიკაციების ინსტიტუტში მისამართზე:

აკაკი წერეთლის გამზ. №1, ტ. 34-73-66, 899687172. E-mail: amiranashvili@hotmail.com.

წიგნი გაიყიდება აგრეთვე „პარნასის“ და „საქნიგის“ მაღაზიათა ქსელში, ცოტნე დადიანის ქ. №43-ში.

„ქართული კრიტიკის სასკოლო ქრესტომათიის“ I და II ნაწილის პრაზენტაცია გაიმართება მარკეტინგული და მედია კომუნიკაციების ინსტიტუტის სააქტო დარბაზში, სამგზაბათს, 3 თებერვალს, 15 საათზე.



8 თებერვალს, თბილისის 166-ე საჯარო სკოლის შენობაში (მისამართი: აკ. წერეთლის N42), ჩატარდება საგამოცდო ტესტების აპრობაცია ორ საგამოცდო საგანში: ა) საქართველოს ისტორიისა და საზოგადოებრივი მეცნიერებები და უცხოური ენები (რუსული, გერმანული, ფრანგული).

ტესტირება დაიწყება 10:00 საათზე. საცდელ ტესტირებაში მონაწილეობის მსურველმა აბიტურიენტებმა რეგისტრაციისათვის უნდა ღარიკონ გამოცდების ეროვნული ცენტრის ცხელ ხაზზე: 43 92 12 ან მოზრქანდნენ გამოცდების ეროვნულ ცენტრში (ივ. ჯავახიშვილის 60).



ზამთრის პერიოდში, როგორც წესი, იმატებს სასუნთქი სისტემის დაავადებათა სიხშირე. დადგენილია, რომ, ყოველწლიურად, მწვავე რესპირაციული ინფექციით დედამიწაზე 500 მილიონი ადამიანი ხდება ავად, საკმაოდ მაღალია ჰოსპიტალიზაცია და სიკვდილიანობის შემთხვევები. ეს ინფექციები განსაკუთრებით ხშირია მოხუცებულთაში, ადრეული ასაკის ბავშვებსა და სხვადასხვა ქრონიკული პათოლოგიის მქონე ადამიანებში. მაღალია მწვავე რესპირაციული ინფექციის გართულების რისკიც. თუ მოზრდილთა პოპულაციაში რესპირაციული ინფექცია, წლის განმავლობაში, 1-2-ჯერ ვითარდება, ბავშვთა ასაკში, განსაკუთრებით იმ პერიოდში, როდესაც იწყება ბავშვის სოცია-

ლური არეალის გაფართოება (ბაღში, სკოლაში სიარული), ნორმად ითვლება ვირუსული ინფექციის 7-8 ეპიზოდი ყოველწლიურად. ინფექციის წყაროს წარმოადგენს დაავადებული ადამიანი, რომელიც ავრცელებს ვირუსებს ლაბარაკის, ხველების, ცხვირცემინების დროს. დაინფიცირებას იწვევს შედარებით ახლო კონტაქტი. იშვიათ შემთხვევაში შესაძლებელია დაავადების გავრცელება დაინფიცირებული საგნის (სათამაშოების, ჭურჭლის და სხვ.) მეშვეობით. ვირუსული ინფექციით დაავადებული ადამიანი გადამდებია დაავადების სიმპტომების გამოჩენამდე ერთი დღით ადრე და დაავადების ნიშნების გამოჩენიდან 5-7 დღის განმავლობაში.

მწვავე რესპირაციული ინფექცია

რა ჩივილებით ვლინდება სასუნთქი სისტემის ვირუსული ინფექცია?

დამახასიათებელია ცხვირცემინება, ცხვირიდან გამონადენი ან ცხვირით სუნთქვის გაძნელება, ყელის ტკივილი, ხველა და ტემპერატურული რეაქცია. თუ დაავადება გამოწვეულია გრიპის ვირუსით, აღნიშნულ ჩივილებთან ერთად, ვლინდება საერთო სისუსტე, შემცივნება, მაღალი ტემპერატურა, თავბრუს ხვევა, თავის, სახსრებისა და კუნთების ტკივილი, თვალის ტკივილი და სინათლის შიში. ადრეული ასაკის ბავშვებში შეიძლება გამოვლინდეს გულსრევა, ღებინება და ნაწლავთა მოქმედების გახშირება.

დაავადების სიმპტომები, ხშირ შემთხვევაში, ავადმყოფთან კონტაქტის 2-3 დღის შემდეგ ვლინდება. ჩვეულებრივ, დაავადება გრძელდება 1 კვირის განმავლობაში, თუმცა, რიგ შემთხვევებში, შეიძლება გავრცელდეს 2 კვირაზე მეტ ხანს. ვირუსული ინფექციის ყველაზე ხშირ გართულებებს წარმოადგენს: შუა ყურის ანთება, ცხვირის დანამატი ღრუების ანთებითი დაავადებები (ჰაიმორიტი, ფრონტიტი და სხვ.), აგრეთვე, ქვემო სასუნთქი გზების დაავადებები - პნევმონია და ბრონქიტი. შედარებით იშვიათია გულ-სისხლძარღვთა სისტემის და ცენტრალური ნერვული სისტემის დაზიანება.

მწვავე რესპირაციული ვირუსული ინფექციის ხშირი გართულებების გამო, დაავადების პირველი ნიშნების გამოჩენისთანავე, საჭიროა ექიმის კონსულტაცია. ასეთ შემთხვევაში, რეკომენდებულია ავადმყოფისთვის სითხეების გაზრდილი რაოდენობის მიწოდება; მაღალი ტემპერატურის და ტკივილის შემთხვევაში, ექიმის მიერ შერჩეული მედიკამენტების გამოყენება, შესაფერისი ტანსაცმლის შერჩევა - დაუშვებელია მაღალი სიცხის მქონე ბავშვის „ჩაფუთვა“; მიზანშეწონილია ოთახის ხშირი განიავება, ჰაერის დატენიანება. ბავშვის ავადმყოფობისას

მშობლებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ იმ ნიშნების გამოჩენას (ძლიერი აგზნება ან პირიქით - მოდუნება, ძილად მივარდნა, სითხეების მიღების შეუძლებლობა, შეუწყვეტილი ღებინება, კრუნჩხვა, ხმაურიანი, გაძნელებული სუნთქვა), რომლებიც შესაძლო გართულებებზე მიუთითებს. მსგავსი ჩივილის გამოვლენის შემთხვევაში, საჭიროა ექიმთან დაუყოვნებელი ვიზიტი.

მწვავე რესპირაციული ვირუსული ინფექციისაგან თავის დაცვის პირობას წარმოადგენს ვირუსის გავრცელების თავიდან აცილება ჰიგიენის წესების სრული დაცვის საშუალებით. აუცილებელია: ხელების საპნითა და წყლით ხშირი ხანა; ხველების ან ცემინების შემთხვევაში - პირზე ან ცხვირზე ერთჯერადი ცხვირსახოცის მიფარება; დაავადების სიმპტომების გამოვლენის შემთხვევაში - სახლში დარჩენა; მრავალფეროვანი საკვების მიღება, მათ შორის ბოსტნეულისა და ხილის, რომელიც მდიდარია სხვადასხვა ვიტამინებით.

გრიპის პროფილაქტიკის ძირითად მეთოდს ვაქცინაცია წარმოადგენს. ვაქცინაციის პროცესში ორგანიზმში შეჰყავთ ინაქტივირებული (მკვდარი) ვირუსი, რომელიც არ იწვევს დაავადებას, მაგრამ განაპირობებს ორგანიზმში ანტისხეულების გამოშვებას. გრიპის ვაქცინა მოქმედებს იწყებს ვაქცინაციიდან 2 კვირის შემდეგ, რის გამოც, უმჯობესია, ვაქცინაციის შემოდგომაზე ჩატარება, რათა ადამიანი დაიცული იყოს გრიპისაგან ვირუსის მაქსიმალური აქტივობის მთელი პერიოდის განმავლობაში. გრიპის ვაქცინაციის ყოველწლიური ჩატარება რეკომენდებულია მცირე ასაკის (6 თვის შემდეგ) ბავშვებში, მოხუცებულთა და ქრონიკული დაავადებების მქონე პაციენტებში.

მაია ხერხეულიძე
პედატრი

ინფორმაცია

კელაგობთა პროფესიული დაოსტატების მიზნით

მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სკოლაში ურთიერთანამშრომლობასა და ურთიერთდახმარებას. გარემო, რომელიც ჩვენს სკოლაში შეიქმნა, ჯანსაღ ურთიერთობებს ამკვიდრებს როგორც კოლეგებს შორის, ასევე მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის. მხედველობაში გვაქვს 15-16 იანვარს სკოლის სასწავლო ნაწილის, ქალბატონ ნანა ჯუღელის მიერ ჩატარებული ტრე-

ნინგი „გაკვეთილის დაგეგმვა“, რომლის მიზანი სკოლის ბაზაზე პედაგოგთა პროფესიული დაოსტატებაა. მეცადინეობაში მონაწილეობა მიიღო 148-ე საჯარო სკოლის პედაგოგთა ნაწილმაც (ავგისტოს ომის შემდეგ ერთ შენობაში ორი სასწავლო დანესებულება ფუნქციონირებს).

პირველი დღე თეორიულ სწავლებას დაეთმო. მასწავლებლები გაეცნენ თავიანთი სასწავლო დისციპლინის როლს ზოგადი განათ-

ლების ეროვნული მიზნების მიღწევაში, საგნის კონცეფციას, პროგრამისა და სტანდარტის ურთიერთკავშირს. მეორე დღე მთლიანად პრაქტიკულ სამუშაოს მიეძღვნა. ჩატარდა სამოდელო გაკვეთილი ინტერაქტიური მეთოდების გამოყენებით, რასაც მოჰყვა ამ გაკვეთილის გეგმის დანვრის დანახილვა.

მეტად საინტერესოდ წარმოადგინა ქალბატონმა ნანამ ინტერვიუ-გაცნობა და რაღვ ნიკოლის ათი

რჩევა. შემდეგ კი ჟ. პიაჟეს კოგნიტური თეორია - მსმენელთა პროვოცირება ასახსნელი გაკვეთილის თემასთან დაკავშირებით. მომწონა ჯგუფური მუშაობაც. თითოეული მასწავლებელი ცდილობდა, რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია მოეძიებინა შესასწავლი თემის ირგვლივ; საინტერესო იყო აგრეთვე მსმენელთა განტვირთვის პროცესი. ამას ნამდვილად გამოვიყენებ გაკვეთილზე ყოველივე იმის გათვალისწინებით, რაც ტრენინგზე მოვისმინე და ვის-


წავლე უკვე დაგეგმე გაკვეთილი ისტორიაში (IX კლ.).

მიმაჩნია, რომ მსგავსი სწავლებები, გამოცდილების ურთიერთგაზიარება ხელს შეუწყობს თითოეული ჩვენგანის კვალიფიკაციის ამაღლებას, საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა აქტიურ ჩართვას.

ელიზაბეტა ფარულავა
თბილისის 149-ე საჯარო სკოლის
ისტორიის მასწავლებელი
ქარლო სალუშვადის ფოტოები



კემბრიჯის უნივერსიტეტი დაარსებიდან 800 წლის აღნიშვნას იწყებს



კემბრიჯის უნივერსიტეტი (დღევანდელი ბრიტანეთის სიძველით მეორე უნივერსიტეტი, ოქსფორდის შემდეგ) ზამთრის სემესტრის პირველ შაბათს დაარსებიდან 800 წლის აღნიშვნა დაიწყო.

ზემის ფარგლებში დაგეგმილია კემბრიჯის ისტორიისა და ყველაზე სახელოვანი კურსდამთავრებულებისადმი - ისააკ ნიუტონი, ჩარლზ დარვინი და სხვ. - მიძღვნილი შოუ.

ქალაქის ცენტრში 4 ტაძარი ერთმანეთს ზარებით ეხმიანებოდა. მუსიკა, რომელსაც მნათები ასრულებდნენ, კემბრიჯის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულმა, კომპოზიტორმა ფილ ირისმა იუბილესთვის საგანგებოდ დაწერა.

სადღესასწაულო ღონისძიებები მთელი წლის განმავლობაში ჩატარდება.

კემბრიჯის უნივერსიტეტი მსოფლიოს სასწავლო დაწესებულებათა საუკეთესო ხუთეულში შედის. მის კურსდამთავრებულებში 83 ნობელის პრემიის ლაურეატია. ამ მაჩვენებლით ის უნივერსიტეტების ლიდერია.

კემბრიჯის უნივერსიტეტი სიძველით მეორე უნივერსიტეტი ინგლისურენოვან მსოფლიოში და ჩარიცხვის კრიტერიუმებით ერთ-ერთი ყველაზე მომთხოვნი გაერთიანებულ სამეფოში. ადრეული წყაროები აღარ არსებობს, თუმცა მიიჩნევენ, რომ უნივერსიტეტი ქალაქ კემბრიჯში, ინგლისში არსებულ პროფესორთა ასოციაციისგან წარმოიშვა და, სავარაუდოდ, 1209 წელს ოქსფორდიდან გამოქცეულ მეცნიერ-მასწავლებელთა მიერ შეიქმნა, რომელთაც ადგილობრივ მოქალაქეებთან კონფლიქტი შექმნათ.

ოქსფორდისა და კემბრიჯის უნივერსიტეტებს (ერთობლივად მოიხსენიებენ, როგორც ოქსბრიჯს) მას შემდეგ ურთიერთ ჯიბრის დიდი ისტორია აქვთ და მოიხ-

სენიებიან გაერთიანებული სამეფოს ყველაზე ელიტურ და პრესტიჟულ უნივერსიტეტებად. ისტორიულად, მათ გამოშვებას ეკუთვნის ბრიტანეთის გამოჩენილ მეცნიერთა, მწერალთა და პოლიტიკოსთა უდიდესი ნაწილი.

კემბრიჯის უნივერსიტეტიდან გამოსულთა შორის 81 ნობელის პრემიის ლაურეატია, რაც მსოფლიოს ნებისმიერ უნივერსიტეტზე მეტია. მათგან 70 კემბრიჯის ბაკალავრიატზე ან მაგისტრატურაზე სწავლობდა, ანუ ისინი ამ უნივერსიტეტის მასწავლებლები ან მკვლევარები არ ყოფილან (ჩიკაგოს უნივერსიტეტი მეორე ადგილზეა ნობელის პრემიის ლაურეატთა რიცხვით - 78, თუმცა მხოლოდ 30 მათგანი იყო ამ უნივერსიტეტის სტუდენტი).

კემბრიჯი რანგით ბრიტანეთის უნივერსიტეტთა ლიგის სიის თავში იმყოფება ბოლო 8 წლის განმავლობაში; თაიმზის უმაღლეს სასწავლებელთა დამატების (ინგ. შემოკლებით THES) მიხედვით - უმაღლეს სასწავლებელთა საერთაშორისო ლიგის მე-3 რანგზეა, ხოლო შანხაი უიაო ტონგოს უნივერსიტეტი რეიტინგით მსოფლიოში მე-4 უნივერსიტეტი (უნივერსიტეტთა რეიტინგები სუბიექტურ კრიტერიუმებს ეყრდნობა, თუმცა დღეისთვის მსოფლიო უნივერსიტეტთა მხოლოდ ზემოთ მოყვანილი ორი რეიტინგ-ლისტი არსებობს).

კემბრიჯი არის რასეელის ჯგუფის (ბრიტანეთის კვლევითი უნივერსიტეტების ქსელი, ინგ. Russel Group), კოიმბრას ჯგუფის (ევროპის წამყვან უნივერსიტეტთა ასოციაცია, ლათინურად Coimbra Group) და ასევე ევროპის კვლევითი უნივერსიტეტების ლიგის (LERU) წევრი.

უნივერსიტეტის 31 კოლეჯი ტექნიკურად უნივერსიტეტისგან დამოუკიდებელი ინსტიტუტებია და მნიშვნელოვანი ავტონომიით სარგებლობენ. მაგ. ისინი თავად წყვეტენ სტუდენტთა მიღების სა-

კითხს და ასევე თავად ნიშნავენ საბჭოს უფროს წევრებს.

უნივერსიტეტის ამჟამინდელი კანცლერი მსუ ედინბურგის დუკია, ვიცე-კანცლერი კი პროფ. ალისონ რიჩარდი. კანცლერის თანამდებობა მუდმივია და უმეტესწილად სიმბოლური, ხოლო ვიცე-კანცლერი კი აღმასრულებელ მმართველად ითვლება. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობაში მხოლოდ საკუთარი წევრები არიან, გარე წარმომადგენლებს გარეშე. მთავარი ავტორიტეტი ე.წ. მმართველი პალატა (Regent House), რომლის წევრებიც კემბრიჯის აკადემიური თანამშრომლები არიან, თუმცა ძირითადი საქმიანობა საკონსულტო მიერ ხორციელდება. სენატი შედგება ყველა მაგისტრანტისა და უფრო მაღალი ხარისხის მფლობელთაგან. ის ირჩევს კანცლერს და 1926 წლიდან მისი როლი, ძირითადად, ამით შემოიფარგლება.

კოლეჯთა სისტემა უნივერსიტეტისთვის შემთხვევითია და მოვინებით განჩნდა. პირველი კოლეჯი, სახელად პიტერჰაუზი, დაფუძნდა 1284 წელს ჰიუ ბალშემის, ელის ბიშოპის მიერ. დანარჩენ კოლეჯთა უმრავლესობა დაფუძნდა მე-14, მე-15 საუკუნეებში, თუმცა ახალი კოლეჯები იქმნებოდა მას შემდეგაც, მოყოლებული დღემდე. ყველაზე ახალგაზრდა კოლეჯია რობინსონის (1970) კოლეჯი.

შუა საუკუნეებში კოლეჯები იქმნებოდა, რათა მათ სტუდენტებს ამ კოლეჯთა დამფუძნებლების სულისთვის ელოცათ. ამ მიზეზით ისინი ხშირად სააბატოებთან ასოცირდებოდნენ. თუმცა 1536 წელს, მონასტერთა გაუქმებასთან დაკავშირებით, მეფე ჰენრი VIII-მ ბრძანა გაუქმებინა უნივერსიტეტში კანონიკის სწავლების ფაკულტეტი და შეენწყვიტათ სქოლასტიკური ფილოსოფიის სწავლება. ამას შედეგად კოლეჯთა კურიკულუმის ფოკუსის შეცვლა მოჰყვა - კანონიკის ნაცვლად, შემოიღეს კლასიკური მეცნიერებანი, ბიბლია და მათემატიკა.

კემბრიჯის გამოცდა ბაკალავრიატის ხარისხისთვის (მთავარი დანაწევრებით ხარისხი კემბრიჯში ხელოვნებასა და მეცნიერების შემსწავლელ საგნებში) ცნობილია, როგორც „ტრიპოსი“. მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტს კურსები მრავალ საგანში აქვს, ისააკ ნიუტონის დროიდან მე-19 საუკუნის შუა წლებამდე, ძირითადი ყურადღება მათემატიკას ეთმობოდა და ამ საგნის შესწავლა დიპლომის მისაღებად აუცილებელი იყო. მათემატიკის კურსის წარჩინებით დასრულებისას სტუდენტებს ვრანგლერის ნოდებას ანიჭებდნენ. მათემატიკის ტრიპოსი განსაკუთრებული სირთულით გამოირჩეოდა და მისი კურსდამთავრებულები გამოჩენილი ბრიტანელი მეცნიერები იყვნენ: ჯეიმს კლერე მაქსველი, ლორდ კელვინი, ლორდ რაელი და სხვ. მიუხედავად საგანთა სიმრავლისა, კემბრიჯი მათემატიკას დღემდე განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს. ისააკ ნიუტონის ინსტიტუტი, უნივერსიტეტის ნაწილი, ბრიტანეთის ეროვნულ კვლევით ინსტიტუტად ითვლება მათემატიკასა და თეორიულ ფიზიკაში.

დასაწყისში ყველა სტუდენტი მამაკაცი იყო. პირველი ქალთა კო-

ლეჯები გირტონი (1869) და ნიუნჰამი (1872) იყო. პირველი გამოცდა ქალი-სტუდენტებისთვის 1882 წელს ჩატარდა, თუმცა ქალთა უნივერსიტეტის სრულ წევრებად გახდომა 1947 წლამდე ვერ მოხერხდა, 20 წლით გვიან, ვიდრე ოქსფორდში. მიუხედავად იმისა, რომ, როგორც ითვლება, კემბრიჯს ქალთათვის ხარისხი ამ დრომდე არ გაუცია, ფაქტობრივად, მე-19 საუკუნიდან მოყოლებული ქალები დამკვეთ იყვნენ კურსებზე, აბარებდნენ გამოცდებს და ნიშნების ფურცელს ოფიციალურად იღებდნენ, რაც სხვა ინსტიტუტების მიერ ხარისხად ითვლებოდა. უკვე მე-20 საუკუნიდან ქალებს შეეძლოთ ე.წ. ტიტულარული ხარისხის მიღება. განსხვავება ის იყო, რომ სრული

ხარისხის გარეშე ქალებს არ შეეძლოთ უნივერსიტეტის მმართველთა საბჭოს წევრები გამხდარიყვნენ. უნივერსიტეტის სტუდენტები კოლეჯის ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ და, ქალთა კოლეჯების სიმცირის გამო, შევიწროებულნი იყვნენ 1960 წლამდე, როცა კოლეჯებში სქესთა შერევა დაშვებულ იქნა.

ამჟამად, 31 კოლეჯიდან 28 შერეულია, დანარჩენი სამი კი ექსკლუზიურად ქალთათვის არის (ლუსი კავენდიში, ნიუ-ჰოლი და ნიუნჰამი). მაგდალენი მამაკაცთა ბოლო კოლეჯი იყო, რომელიც მხოლოდ 1988 წელს გახდა შერეული.

მასალა მოამზადა
ლალი ჯელაქი



მათემატიკა

სახალისო ცდები ქიმიდან

პატრიციაშვილი კარგი მასწავლებელი ჰყავდა, რომლის გაკვეთილებს არასოდეს დაივიწყებდნენ...

აღიღეთ რომელიმე მარტივი ეთერი, თუნდაც C2H5-O-C2H5 დიეთილეთერი. ერთი მილილიტრის რაოდენობით ჩაასხით სინჯარაში...

- 1. არსებობს წვადი და არანვადი ნივთიერებები. ესენი შეიძლება იყოს როგორც სითხეები, ასევე მყარი და აირადი ნივთიერებები...

ფაიფურის ჯამში შპატელის წვერით ძალიან ცოტა კალიუმის პერმანგანატის (KMnO4) კრისტალები ჩაყარეთ...

- 1. რეაქციის განტოლება ასე გამოიხატება: 2KMnO4 + H2SO4 = K2SO4 + H2O + Mn2O7. Mn2O7 = 4MnO + 5O2

აღწერილი ცდებთან დაკავშირებით მოსწავლეებს სულ სხვადასხვა სახის საშინაო დავალება შეიძლება მისცეთ...

მათვანს დიდი გამოყენება აქვს კვების მრეწველობაში, მედიცინაში და სხვადასხვა ქიმიურ წარმოებაში...

„მეცნიერებათა კვირები“

განიერ ცილინდრულ მენზურაში (სიმაღლით, არანაკლებ, 20 სანტიმეტრისა) 3/4 -ზე ჩაასხით 10-15 პროცენტის მარილმჟავას ხსნარი...

როდესაც კვერცხს მთლიანად შემოეცლება კარბონატის ნაჭურჭი, დარჩება გამჭვირვალე, რბილფერის კვერცხი...

თუ ამ გაფცქვნილ ლოფლოფა კვერცხს ერთი-ორი დღე დატოვებთ იმავე ხსნარში ან გადაიტანთ სუფთა წყალში...

გვაქვს ორი შენიშვნა: 1. მარილმჟავაში ნაჭურჭის გასხისას ხსნარის ზედაპირზე თეთრი ფანტელები იტივტივებს...

2. კვერცხიან ხსნარში კონცენტრატ HCl-ის ჩამატება არ შეიძლება, რადგანაც ხსნარი გაცხელდება და კვერცხის ცილის კოაგულაციას აწუხებს...

ეს ცდა სახლშიც შეგიძლიათ ჩატაროთ ძმრის ესენციით. 3. რეაქციის ხანგრძლივობა ბევრ ფაქტორზე დამოკიდებულია...



რამდენიმე წუთში დამთავრდეს ან საგაკვეთილო დროში ვერ ჩაეტოოს. ორივე შემთხვევისთვის შესაბამისად მოემზადეთ...

ამ ცდას ბევრი ფიზიკური მოვლენა ახლავს, რომლის ახსნა ფიზიკის კურსის სხვადასხვა ნაწილშია გაფანტული...

ჩამოთვლილი საკითხების ჩაღრმავების დონე დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელ კლასში ტარდება ექსპერიმენტი...

გისურვებთ წარმატებებს.


მარიამ სურგულაძე



სურ. 1.



* თუ სამსვლიან მილებს ზონარით ერთმანეთსკენ მისწვეთ და შეკრავთ, მილების ოთხივე ბოლო ერთ ხაზზე დადგება.



* კვერცხი რეაქციაშია და * იგივე კვერცხი რეაქციის შემდეგ გაფცქვნილი და გაზრდილი

გავშვთა უფლებების დასაცავად



27 იანვარს ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა სურათების გალერეამ საინტერესო გამოფენას – „ბავშვთა უფლებების დაცვა“ – უმასპინძლა.

გამოფენა გაეროს წარმომადგენლობის, ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა სურათების გალერეისა და საქველმოქმედო ასოციაციის – „ერთობა“ – ხელშეწყობით გაიმართა. მიუძღვნა ჰოლოკოსტის მსხვერპლთა სსოვნის საერთაშორისო დღეს, რომელიც მეოთხე წელია აღინიშნება მსოფლიოში.

„გამოფენის მიზანი, მომავალი თაობებისთვის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის უკეთ გაცნობაა, – გვითხრა ქეთი გიომილიძე (გაეროს საზოგადოებრივი ინფორმაციის ოფიცერი), – მოსწავლეებმა შესანიშნავად გამოავლინეს „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცი-

ის“ საფუძვლიანი ცოდნა და ორიგინალური ხედვა, ყველა მონაწილე სპეციალური დიპლომით დაჯილდოვდება“.

ლია გორგაძე, ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა სურათების გალერეის დირექტორი: „გამოფენაზე 200-მდე ნამუშევარი წარმოდგენილი. ბავშვებს შესანიშნავად აქვთ გააზრებული ბავშვთა უფლებების დაცვა. კარგად იციან, რომ მათი ჰარმონიული განვითარებისთვის, ნორმალურ, განათლებულ პიროვნებად ჩამოყალიბებისთვის აუცილებელია მშვიდი, მოსიყვარულე გარემო, რომ ყველა ბავშვს აქვს სწავლის, დასვენების, გართობის, ხელოვნებითა და სპორტით დაკავების, სამედიცინო მომსახურების, სულიერი დაცვის, სუფთა გარემოში ცხოვრების უფლება.“

გამოფენაზე წარმოდგენილ ნამუშევრებში მეტ-ნაკლებად ასახულია ყველა ის პრობლემა, რომელიც ბავშვებს აწუხებთ, ლახავს მათ ღირსებებს. ნახატებში ნათლად ჩანს მათი დამოკიდებულება არსებული ვითარებისადმი, მათი კეთილი სურვილები, ოცნებები, სიხარული და გულსტკივილი.

ნამუშევრები შესრულებულია სხვადასხვა მასალით, არის ფერთა შესანიშნავი შეხამებები, საინტერესო კომპოზიციები, თემების თავისებური, დამოუკიდებელი გადანწყვეტა, პრობლემების თავისებური ხედვა“.

გამოფენის გახსნას განსაკუთრებული ელფერი შემატა საქართველოში მცხოვრებ უკრაინელთა ასოციაციის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრთან არსებული თეატრალურ-მუსიკალური ექსპერიმენტული სტუდიის „ბანდურა“ მოსწავლეების შემოქმედებამ (ტრიოს ხელმძღვანელი გალინა ბანდურა).

გამოფენა – „ბავშვთა უფლებების დაცვა“ – დამთავლებულს ორი კვირის განმავლობაში უმასპინძლებს.

მამა ყიფიანი

სპორტი

უნიკალური ფალავანი

17 წლის თავისუფალი სტილით მოჭიდავე ვლადიმერ ხინჩეგაშვილი (55) კიდევ ერთხელ გააოცა სპეციალისტები, როცა წინა კვირაში დამაჯერებლად გაიმარჯვა საქართველოს ჩემპიონატში. ის ქართული სპორტის ამომავალ ვარსკვლავად იქცა, რომლისგანაც მწვრთნელები ყველაზე დიდ წარმატებებს ელიან. ასაკობრივ ნაკრებებში მან თითქმის ყველაფერი მოიგო, მაგრამ მოზარდისგან უფროსთა ჩემპიონატში გამარჯვებას მაინც ნაკლებად ელოდნენ, თუმცა პირველივე ბრძოლებიდან დარბაზის ფავორიტად იქცა. მართალია, ამ ტურნირში ნაკრების ლიდერი და ხინჩეგაშვილის თანაქალაქელი ბესარიონ გორჩაშვილი არ გამოდიოდა, მაგრამ ახალგაზრდა ფალავანმა იმდენად დამაჯერებლად იჭიდავა, მისი შესაძლებლობები ყველამ ირწმუნა.

ქართულ სპორტს ბევრი ნიჭიერი მოზარდი ახსოვს, მაგრამ ვლადიმერ ხინჩეგაშვილი უნიკალური სპორტსმენია, რადგან ერთბაშად რამდენიმე ნაკრებში გამოდის. შარშან, 16 წლისამ საქართველოს ჩემპიონატი ჯერ ჭაბუკებში მოიგო,

მერე – ახალგაზრდებში. ამის შემდეგ ევროპის პირველობების ჯერი დადგა, სადაც იგივე თანმიმდევრობით იმარჯვა – ჯერ ჭაბუკებში, მერე – ახალგაზრდებში, სეზონი კი ისევ ახალგაზრდებში, ანუ მთელი 4 წლით უფროსებში მსოფლიო ჩემპიონატზე მოპოვებული ბრინჯაოთი ჩაამთავრა. პრაქტიკულად, შარშან მოიგო ყველაფერი, რისი მოგებაც კი შეიძლებოდა. შარშან ჭაბუკებში მსოფლიო ჩემპიონატი არ ტარდებოდა, თორემ იქიდანაც გამარჯვებული დაბრუნდებოდა. არათუ საქართველოში, მსოფლიოშიც იშვიათია სპორტსმენი, რომელიც ერთბაშად ორ ნაკრებში გამოდიოდეს და ისიც ასეთი წარმატებით!

ოღონდ არ იფიქროთ, რომ მან გამოჩენისთანავე აალაპარაკა სპეციალისტები. კარგ მონაცემებს მაშინვე ამჩნევდნენ, მაგრამ ასეთ აფეთქებას მაინც არ ელოდნენ. ის ჯერ კიდევ მოსწავლეა – გორის მე-10 საჯარო სკოლის მეტორმეტეკლასელია და ცნობილ მწვრთნელ ნუგზარ სხირელთან ვარჯიშობს. სხირელი გორის სახელგანთქმული საჭიდაო სკოლის

სულის ჩამდგმელი და მთავარი ჭირისუფალია. ეროვნული ნაკრების შემადგენლობიდან ლამის ნახევარი – ევროპის პრიზიორი ბესარიონ გორჩაშვილი, მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი და ოლიმპიური პრიზიორი ოთარ თუშიშვილი (60), მსოფლიო ჩემპიონი და ოლიმპიური ბრინჯაოს მედალოსანი გიორგი გოგშელიძე (96) მისი აღზრდილია, რასაც კიდევ არაერთი სახელოვანი ფალავანი ემატება. ახალგაზრდა შეგირდმა მწვრთნელი ჯერ კიდევ შარშან დააყენა სასიამოვნო არჩევანის წინაშე, როცა საქართველოს ჩემპიონი ერთბაშად ორგან გახდა და ორივე ნაკრებში მოიპოვა გამოსვლის უფლება.

გამოცდილმა მწვრთნელმა მშვენივრად იცოდა, ახალგაზრდა ფალავანს ასეთი დატვირთვა რა საფრთხესაც უქადადა. მისი არჩევანი უფრო ჭაბუკთა ნაკრებისკენ იხრებოდა, მაგრამ ახალგაზრდებსაც ნელ-ნელა აჩვენებდა და იმთა ტურნირებშიც გამოჰყავდა. თუმცა ამას შეჩვევა არც ერქვა, რადგან ვლადიმერი იქაც წარმატებით ჭი-



დაობდა და ბევრად უფროსებს ჯაბნიდა. ნუგზარ სხირელი ლამის ყოველი ტურნირის წინ ამბობდა, ამ ერთსაც ვაჭიდავებ და მერე დავასვენებო, მაგრამ ჭაბუკი ფალავანი იმდენად კარგად ჭიდა-

ობდა, მომდევნო ტურნირზეც მიჰყავდათ. ასე ნაბიჯ-ნაბიჯ მოიყოველი ტურნირის წინ ამბობდა, ამ ერთსაც ვაჭიდავებ და მერე დავასვენებო, მაგრამ ჭაბუკი ფალავანი იმდენად კარგად ჭიდა-

ირაკლი თავაძე

<p>მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი</p>	<p>მისამართი: ტატილაშვილის №3 ტელ.: 95-80-23, 855 411668, 893 364240, 855 178027.</p> <p>E-mail: axaliganatleba@gmail.com, ganatleba@mail.ru</p>	<p>რედაქციის რეკონსტრუქცია: საპარტოველო ბანკი</p> <p>გ/კ 220101502, ს/კ 202058735, ა/ა 123631000</p>
	<p>რეგისტრაციის № 2/4-1609, ინფორმაციის ცენტრი: 76096</p> <p>გაზეთი რეგისტრირებულია დიდუბის რაიონის სასამართლოში</p> <p>რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.</p>	